განმარტებითი ბარათი

საქართველოს ორგანული კანონის პროექტზე „საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

ა.ა.ა) პრობლემა, რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს კანონპროექტი:

2023 წლის 29 აპრილს ქუთაისის, ფოთის, სენაკის, ხობის, თიანეთის, ახალციხის, გურჯაანის, ტყიბულის, თერჯოლისა და ცაგერის საარჩევნო ოლქებში შუალედური/რიგგარეშე არჩევნების ჩატარების შემდეგ, რომელი არჩევნებიც უმრავლეს საარჩევნო უბნებში ელექტრონული წესით ჩატარდა, გამოიკვეთა, რომ საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ მოქმედი რედაქცია საჭიროებს რიგი პროცედურული და ტექნიკური საკითხების კორექტირებას და არსებული კანონმდებლობის დამატებით დახვეწას, რაც საკანონმდებლო რეგულაციების გადახედვას მოითხოვს. აგრეთვე დასახვეწია საარჩევნო პროცედურების მომწესრიგებელი გარკვეული ნორმები.

წარმოდგენილი კანონპროექტის მიზანია საქართველოს საარჩევნო კოდექსში დაიხვეწოს შესაბამისი ნორმები, რომლითაც აღმოიფხვრება საარჩევნო კოდექსში არსებული ცალკეული ხარვეზები და შეუსაბამობები.

ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად კანონის მიღების აუცილებლობა:

საარჩევნო კოდექსში არსებული შეუსაბამობების და ხარვეზების გამოსწორება საჭიროებს საკანონმდებლო რეგულაციების გადახედვას და ცვლილებების განხორციელებას აღნიშნულ საკანონმდებლო აქტში.

ა.ბ) კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგები:

საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის პროექტით აღმოიფხვრება საარჩევნო კოდექსში არსებული ცალკეული ხარვეზები და შეუსაბამობები, დაიხვეწება საარჩევნო კანონმდებლობა, საარჩევნო სუბიექტებს გაუმარტივდებათ რეგისტრაციის პროცედურები, დაზუსტდება და დაკონკრეტდება არასაარჩევნო პერიოდში საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლების რეგისტრაციის პროცედურები და უფლებები, უზრუნველყოფილ იქნება დემოკრატიული პროცესების ჯეროვანი და სტაბილური განვითარება.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

საქართველოს ორგანულ კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ საქართველოს ორგანული კანონის პროექტით გათვალისწინებულია შემდეგი ცვლილებები:

- ერთგვაროვანი ხდება საქართველოს ორგანულ კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ დადგენილი ხარვეზის/შეუსაბამობის აღმოფხვრის ვადები და ხარვეზის/შეუსაბამობის აღმოფხვრის ვადად განისაზღვრება ნებისმიერ შემთხვევაში 3 დღე;

- 2 დღიდან 3 დღემდე იზრდება საქართველოს ორგანულ კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ დადგენილი ხარვეზის/შეუსაბამობის აღმოფხვრის ვადები;

- იცვლება ამომრჩეველთა გადასატანი საარჩევნო ყუთის სიის ფორმირებასთან დაკავშირებული ვადები. კერძოდ, კენჭისყრის დღეს კენჭისყრის შენობაში მისვლის შეუძლებლობის შემთხვევაში ამომრჩეველი ხმის გადასატანი საარჩევნო ყუთის მეშვეობით მიცემის მოთხოვნით საუბნო საარჩევნო კომისიას მიმართავს კენჭისყრის დღემდე არაუგვიანეს 10 დღისა, ნაცვლად 8 დღისა;

- იცვლება სპეციალური სიის ფორმირებასთან დაკავშირებული ვადები. კერძოდ, შესაბამისმა უწყებებმა ამომრჩეველთა სპეციალურ სიაში შეყვანის მიზნით, შესაბამის პირთა სია შესაბამის საარჩევნო კომისიას უნდა მიაწოდონ, ნაცვლად არაუგვიანეს მე-8 დღისა, არაუგვიანეს მე-10 დღისა;

- დგინდება ამომრჩეველთა ბარათების ამომრჩევლებისთვის გადაცემის საწყისი ვადა;

- არასაარჩევნო პერიოდში საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენელთა რეგისტრაციისა და ამ კანონით განსაზღვრულ უფლებამოსილებათა განხორციელების წესი განისაზღვრება ცესკოს დადგენილებით;

- ყველა საარჩევნო უბანი გაიხსნება კენჭისყრის დღის 6 საათზე და 45 წუთზე; მიუხედავად იმისა, საარჩევნო უბანში კენჭისყრა ტარდება ელექტრონული საშუალებების გამოყენებით, თუ გამოყენების გარეშე;

- მარტივდება და ერთგვაროვანი ხდება საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატების მიერ საარჩევნო დოკუმენტაციის შედგენის პროცედურები. ასევე, აღარ იქნება სავალდებულო საარჩევნო სუბიექტების მიერ საარჩევნო დოკუმენტაციაში რიგი ინფორმაციის მითითების ვალდებულება;

- საქართველოს კონსტიტუციის მსგავსად, საარჩევნო კოდექსის შესაბამისი ნორმით კონკრეტდება, რომ საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების მეორე ტურში არჩეულად ჩაითვლება კანდიდატი, რომელიც მეტ ხმას მიიღებს. არჩევნების მეორე ტურში კანდიდატების მიერ თანაბარი რაოდენობის ხმების მიღების შემთხვევაში არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელმაც პირველ ტურში მეტი ხმა მიიღო;

- არჩევნებში დასაშვები იქნება პარტიის მიერ მხოლოდ მისი სახელწოდების ან/და მისი შემოკლებული დასახელების გამოყენება. დასაშვები იქნება ასევე მხოლოდ წესდებაში მითითებული პარტიის შემოკლებული დასახელების მითითება არასრულად;

- ზუსტდება და ერთგვაროვანი ხდება ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის შემადგენლობასთან დაკავშირებული ნორმები;

- პარტიას/ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფს უფლება ექნება, რეგისტრაციის შემდეგ, კენჭისყრის დღემდე არაუგვიანეს 16 დღისა, ნაცვლად არაუგვიანეს 12 დღისა,

გააუქმოს თავისი გადაწყვეტილება კანდიდატის წარდგენის შესახებ. იგივე ვადები დგინდება კანდიდატის მიერ საკუთარი ინიციატივით კანდიდატის მოხსნის შემთხვევაში.

ა.დ) კანონპროექტის კავშირი სამთავრობო პროგრამასთან და შესაბამის სფეროში არსებულ სამოქმედო გეგმასთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

აღნიშნული ქვეპუნქტი არ გამოიყენება წარმოდგენილ კანონპროექტთან მიმართებაში (კანონპროექტი არ არის ინიცირებული საქართველოს მთავრობის მიერ).

ა.ე) კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღის შერჩევის პრინციპი, ხოლო კანონისთვის უკუძალის მინიჭების შემთხვევაში – აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი დასაბუთება:

კანონპროექტის მიხედვით, გათვალისწინებულია კანონპროექტის გამოქვეყნებისთანავე შესვლა ძალაში, რადგან მნიშვნელოვანია დროულად მოხდეს საკითხის დარეგულირება. ამავდროულად, არ არის გათვალისწინებული კანონისთვის უკუძალის მინიჭება.

ა.ვ) კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის მიზეზები და შესაბამისი დასაბუთება (თუ ინიციატორი ითხოვს კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას):

ინიციატორის მიერ კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვა არ მოითხოვება.

ბ) კანონპროექტის ფინანსური გავლენის შეფასება საშუალოვადიან პერიოდში (კანონპროექტის ამოქმედების წელი და შემდგომი 3 წელი):

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღებასთან არ არის დაკავშირებული აუცილებელი ხარჯების გამოყოფა.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის ამოქმედება გავლენას არ მოახდენს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ ან/და მუნიციპალიტეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის ამოქმედება გავლენას არ მოახდენს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები, კანონპროექტის გავლენით სახელმწიფოს ან მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღები პირდაპირი ფინანსური ვალდებულებების (საშინაო ან საგარეო ვალდებულებები) მითითებით:

კანონპროექტი არ ითვალისწინებს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს, აგრეთვე სახელმწიფოს ან/და მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღებ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება, იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გავლენის ბუნებისა და მიმართულების მითითებით, რომლებზედაც მოსალოდნელია კანონპროექტით განსაზღვრულ ქმედებებს ჰქონდეს პირდაპირი გავლენა:

კანონპროექტი არ ახდენს პირდაპირ ფინანსურ გავლენას იმ პირებზე, რომელთა მიმართაც ვრცელდება მისი მოქმედება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის (ფულადი შენატანის) ოდენობა შესაბამის ბიუჯეტში და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელების (ფულადი შენატანის) შემოღებას.

ბ[1]) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე კანონპროექტის ზეგავლენის შეფასება:

კანონპროექტს არ აქვს გავლენა ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე.

ბ[2]) გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე კანონპროექტის მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება

კანონპროექტის ინიციატორის მოსაზრებით, კანონპროექტის მიღებით გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე ზეგავლენის მოხდენა მოსალოდნელი არ არის.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის სამართალთან: კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის სამართალს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან, აგრეთვე, ისეთი ხელშეკრულების/შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უკავშირდება კანონპროექტის მომზადება, – მისი შესაბამისი მუხლი ან/და ნაწილი:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს.

გ.დ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან:

ასეთი არ არსებობს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტი, სამუშაო ჯგუფი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის/დაწესებულების, სამუშაო ჯგუფის, ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) სხვა ქვეყნების გამოცდილება კანონპროექტის მსგავსი კანონების იმპლემენტაციის სფეროში, იმ გამოცდილების მიმოხილვა, რომელიც მაგალითად იქნა გამოყენებული კანონპროექტის მომზადებისას, ასეთი მიმოხილვის მომზადების შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

ე) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს პარლამენტის წევრები: მამუკა მდინარაძე, გივი მიქანაძე, დავით მათიკაშვილი, რატი იონათამიშვილი, ირაკლი შატაკიშვილი.

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს პარლამენტის წევრები: მამუკა მდინარაძე, გივი მიქანაძე, დავით მათიკაშვილი, რატი იონათამიშვილი, ირაკლი შატაკიშვილი.